



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მგალობლიშვილი სოფრომ ზაქარიას ძე

მგალობლიშვილი სოფრომ ზაქარიას ძე (20. VII, 1851, სოფ. დირბი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 30. XI. 1925, თბილისი), ხალხოსანი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა გორის სას. სასწავლებელი (1867), შემდეგ – თბილ. სას. სემინარია (1873). 1873–93 მასწავლებლად მუშაობდა გორის სასულიერო სასწავლებელში; 1893–97 – ფოთში, სამეცნიეროს საეპარქიო სამმართველოში, ხოლო 1897–1910 – თბილისში, სინოდის კანტორაში. სემინარიაშივე გაიტაცა ანტიმონარქიულმა განწყობამ. ახალგაზრდა პედაგოგი გორის რ-ნის სოფლებში მართავდა წარმოდგენებს, ავრცელებდა აკრძალულ ლიტ-რას. გორის ხალხოსანთა რევ. ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის ორჯერ (1876 და 1878) იყო დაპატიმრებული. თანამშრომლობდა ქართვ. ხალხოსანთა ურნ. „იმედთან“. 1912–13 იყო გაზ. „ჩვენი დროების“, ხოლო 1912–იდან – გაზ. „თემის“ რედაქტორი.

წერა მ-მა ჭერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს დაიწყო. 1872-იდან „დროებასა“ და „მნათობში“ ბეჭდავდა როგორც ორიგინ. ნაწარმოებებს, ისე – თარგმანებსაც. მკითხველმა გულთბილად მიიღო მის მიერ თარგმნილი ფ. შილერის „ორლეანელი ქალი“. ამის შემდეგ სისტემატურად აქვეყნებდა მოთხოვნებსა და მწვავე პუბლიც. წერილებს. მ-ის შემოქმედებაში აისახა ქართვ. გლეხობის ცხოვრება ბატონყმობის გადავარდნის წინა პერიოდიდან 1905–07 რევოლუციამდე და მისი მომდევნო რეაქციის ხანამდე. მის მოთხოვნებში („დედა მაია“, 1880; „ღამის მეხრე ცეცო“, 1881; „მთიული სოსე“, 1892 და სხვ.) გადმოცემულია გლეხობის უსასოო მდგომარეობა. მ. გლეხთა ბედუკულმართობის მთავარ მიზეზად უნიგნურობას მიიჩნევდა და პრაქტიკულად იღვნოდა სოფელში განათლების, შესაცვლელად. გლეხობის მებრძოლი ბუნება და რევ. იდეები აისახა მის მოთხოვნებში „ჭორ-ზაქარა“ (1907), შექმნა ქართვ. გლეხი ქალების საინტერესო სახეები. მასვე ეკუთვნის მემუარული ხასიათის მოგონებები (1938), ვრცელი ავტობიოგრაფიული

მოთხრობა „წარსულიდან“ (1898-1900), პოპულ. საყმანვილო მოთხრობები „თინიას გიშერა“ (1890), „ყაყიტას ქურდი“ და სხვ.

მ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხ8.: დემეტრეს სახლობა, გორი, 1889; გმირისეულის ქალი, ტფ., 1892; თავადი იერონიმე, ტფ., 1892; რჩეული 2 ტომად, ტფ., 1926; ყაყიტას ქურდი, ტფ., 1935; მოგონებანი, ლ. ასათიანის წინასიტყვ., რედ. და შენიშვნებით, თბ., 1938; რჩეული მოთხრობები, თბ., 1951, 1963; მოთხრობები, თბ., 2010.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი ლ., ჩვენი მწერლები, თბ., 1972; ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი 8., ნ ო ბ ა ძ ე თ., მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; ბ ა რ ა მ ი ძ ე ლ ., სოფრომ მგალობლიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2005; ბ ა ნ დ უ კ ე ლ ი მ ., ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 3, თბ., 1955; თ ა ვ ბ ი შ ვ ი ლ ი გ ., სოფრომ მგალობლიშვილი, თბ., 1956; კ ი კ ნ ა ძ ე 8 ., სოფრომ მგალობლიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1974.

**ს. ხუციშვილი.**

---